№ 2669
შაბათი,
13 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2669
შაბათი
13 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კონტორაში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.
ყოველ დღიური გაზეთი
წელიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე
სურათებიანი დამატებით.
ფასი გაზეთისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: ერთის წლით 6 მანეთი. || საზღვარ გარეთ: ერთის წლით 9 მანეთი.
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.
ყოველ თვიური ჟურნალი
წელიწადი „მოამბე“ მეთორმეტე
ფასი ჟურნალისა გაგზავნით
კავკასიაში და რუსეთში: 1 წლით—10 მ., ცალკე №—1 მან. || საზღვარ გარეთ: 1 წლით—13 მ., ცალკე—№ 1მ. 20 კ.
ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“
უფასოდ გაეგზავნება
მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.
წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.
(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)
როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის
„დონ-კიხოტი“
დიდის სურათებით.
ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია გიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.
ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.
1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.
ვინც 1906 წ. არ იწყებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძელებას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.
პრემიის გასაგზავნად ქალაქს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.
გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ
„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“
ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.
ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 800 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.
რედაქციის კანტორის ადრესი: ბანკის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სახლში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

კვირას, 14 ნოემბერს, ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი

იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა გარდაცვალებულისა ეკატერინე ხვიმონის ასული და მეუღლე ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი—12 საათზე. (2—უ.—1)

10 ნოემბერს გარდაიცვალა დაბა სურამში

თ. იასონ ბეჟანის ძე ფალავანდიშვილი,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთა და თანამოსამსახურეთ ბიძა მისი თავადი ლევან კონსტანტინეს ძე ამირაჯიბი და მამა ვასილ ბეჟანის ძე ფალავანდიშვილი. პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის სამ საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება დაბა სურამიდან სადგურ გომში თოთხმეტს ამ თვეს პირველ საათზე და დაკრძალვა მიცვალებულისა იქნება სოფელ ცერონისში, 16 ნოემბერს. (2—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 13 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ფენელლა“. ოპერა 4 მოქ. ობერისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნიკიტსკაია; ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, დონსკოი, პორუბინოვსკი, დემიანენკო, ჩალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
14 ნოემბ.—„ნერონი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ხ. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
[illegible]:
ა. ი. ბაღდარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ბ. ტ. ბულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფები გარდა კვირისა. 10—11 საათ.
დ. ი. კიმონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
ლ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქ-ნ. [illegible] ს. ქ. ოსხიდიანი.—ქალისა და საშინაო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
გ. ა. ზიციძე.—შინაგანი და ბავშვებისა 1—2 საათ.
ლ. ზ. მონინი.—ქალისა, საბჭებით და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ორშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
გ. ს. მუხაილიშვილი.—თვალისა 2—3 საათ ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბრ. ბ. ხოჯოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთ:
ბ. ბ. ხოჯოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია. ოთხშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
თ. ს. დავითოვი.—შინაგანი და ბავშვების ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოთხი საწოლი სამკურნალოთ შემოსულებისთვის. კრავატში დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეექვსე სახლი) სახლი აბრამოვისა, № [illegible]. [illegible] ქუჩიდან—კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ე. გამბურგერი
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—6)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—6.—30)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნებით დაავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—19)

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ბანკის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნება

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—9)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
11 ნოემბერი

პორტ-საიდი, 11 ნოემბერი. რუსის ესკადრა სუეციდან აქ მოვიდა. მიღებულ იქმნა ზომები, რომ არხში გავლის დროს ესკადრას არა შემთხვევოდა-რა. რუსეთის სადიპლომატო აგენტი კაპიტანი შვანკი და კონსული ბრაუნი ბარკასით წავიდნენ საფლაგმანო გემ „სისოი ველიკი“-ზე. ნავთსადგურში შესვლის დროს რუსის ესკადრამ სალამი მისცა ციხეს, საიდანაც აგრეთვე პასუხი გასცეს. რუსის გემებზე ორკესტრებმა შეასრულეს ინგლისის საერო ჰიმნი, რადგან ნავთ-სადგურში ინგლისის კრეისერი „ფურიოზ“-ი იყო. რუსის ყველა გემზე აპარატები დასდგეს უმავთულოდ დეპეშების გზავნისათვის. ნავთ-სადგური თავისუფალია. რუსების გემები ჰზიდებენ 3000 ტონა წყალსა და სურსათს, აგრეთვე თივას საქონლისთვის.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
11 ნოემბერი

ომსკი, 11 ნოემბერი. გენერალ-ადიუტანტ გრიპენბერგის მატარებელმა გაიარა.

ლონდონი, 11 ნოემბერი. ჩიფუდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა ხელ-ახლად დაიწყეს იერიშის მიტანა ერლუნგშანსა და 230 მეტრის სიმაღლე გორაზე. თუ იაპონელები გარეშე ფორტების „რგოლის გარღვევას ვერ მოახერხებენ, არა გვგონია, ციხის აღებას რამდენისამე თვის განმავლობაში კიდევ შეეცადნენ. რუსებს ჯერ კიდევ ბევრი სამხედრო სურსათი აქვთ. დალნიდან მოსულმა ჯონკამ ჩიფუში ცნობა მოიტანა იაპონელებს ბევრი მაშველი ჯარი მოუვიდათო.

ჩანსიამუტუნი, 11 ნოემბერი. 9 ნოემბერს ღამე რამდენიმე შეტაკება მოხდა რუსის მოხალისეთა და იაპონელთა შორის. ზოგიერთ ადგილას იაპონელები თავს ესხმოდნენ რუსის პოზიციებს, განსაკუთრებით მათი შუაგული ჯარი მოქმედებდა. დასავლეთის მხარეს ყაზახებმა იერიში მიიტანეს სოფ. ცინზიტუნზე და ხელში ჩაიგდეს ხუთი ცხენოსანი და 7 ცხენი. ცოტა მოშორებით აღმოსავლეთისკენ ქვეითა მოხალისეებმა ტყვედ წაიყვანეს ორი იაპონელი. ღამის ორ საათზე პუტილოვის გორის პირდაპირ სოფლებში მომავალ იაპონელთა ჯარს ყუმბარები დაუშინა რუსის არტილერიამ. იაპონელებმა დასტოვეს სოფლები ერდაგოუს სამხრეთ-დასავლეთით. ჩვენის თხრილების წინააღმდეგ გამოილაშქრა იაპონელთა ჯარმა, რომელსაც მხარს აძლევდა ერთი კოლონა. როცა იაპონელები ახლოს მოვიდნენ, რუსებმა ერთბაშად სროლა აუტეხეს; იაპონელები უკუ იქცნენ და წაიღეს თავისი მკვდრები და დაჭრილები. ერთი იაპონელი ტყვედ წაიყვანეს რუსებმა. ერდაგოუს სამხრეთით ჩვენმა რაზმებმა იერიში მიიტანეს სოფელ სინლაუნტინზე და შტიკებით უკუაქციეს იაპონელები თხრილებიდან, დასწვეს სოფელი და გაანადგურეს იაპონელთა სიმაგრეები. იაპონელებმა დასტოვეს ხუთი მოკლული და ორი დაჭრილი. აღმოსავლეთის მხარეს, ცინძენჩენის ახლოს, იაპონელებმა იერიში მოიტანეს ჩვენ რაზმზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. ერთი იაპონელი ტყვედ წავიყვანეთ. 10 ნოემბრამდის მანჯურიის არმიის სამკურნალოებში 134 ავადმყოფი და დაჭრილი იაპონელი იყო. მათგან გადაიცვალა 4, მორჩა—53.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: როგორც მუკდენიდან მიღებულ დეპეშიდან სჩანს, მუკდენის მიდამოებში დიდი ბრძოლა იწყება. იაპონელების უმთავრესი ჯარი რუსის მარჯვენა ფრთაზე აპირობს დაცემას. რკინის გზას მუდამ ახდენენ; ამის გამო საკვებ სურსათის ზიდვა არმიისათვის მეტად გასჭირდა; მაშველ ჯარის ჩაყვანაც გაძნელდა.

კორესპონდენტის აზრი არ გამართლდა; დიდი ბრძოლა მდ. შახეზე, როგორც ვიცით, ჯერაც არ დაწყებულა.

„ტაიმს“-ის კორესპონდენტი სწერს: მდ. შახეზე მალე აუცილებლად დიდი ბრძოლა მოხდებაო. („პ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო კორესპონდენტი პოლკოვნიკი გედკე ჰფიქრობს, სანამ პორტ-არტურს არ აიღებენ, იაპონელები იერიშს არ მიიტანენ რუსის არმიაზე. რუსები-კი, უეჭველია, მანჯურიაში და კორეიაში დაეცემიან მარშალ ოიამას არმიას, რამწამს იაპონელებზე მეტი ჯარი ეყოლებათო („პ. ვ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი ნ. ომ. დეპეშით იუწყება მუკდენიდან: „7 ოქტომბერი. უკანასკნელ დღეებში დალინის უღელტეხილს (მუკდენიდან 70 ვერსის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით) ახლო იაპონელების რაზმები გაჩენილან, რიცხვით ათას კაცზე მეტი. რუსის რაზმმა, უღელტეხილს რომ ჰდარაჯობდა, უკან დაიხია. ხმა დადის, იაპონელები სინცინტინისაკენ (მუკდენიდან 90 ვერსზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით) მოდიანო.

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი ს. კ. ჰფიქრობს, ამ ჟამად რუსის არმია წინ არ გაილაშქრებს; ყველაფრიდან სჩანს, რომ ეხლაც ისევ იაპონელები გამოილაშქრებენ წინ და რუსის არმიაზე იერიშს მოიტანენო. ბ ს. კ. სწერს: „პორტ-არტურის შველა მხოლოდ გენ. კუროპატკინს შეუძლიან. 19 სექტემბერს გამოცემულ ბძანებაში რუსის მთავარ-სარდალმა გამოუცხადა თავის არმიას, პორტ-არტური უნდა დავიხსნათო, მაგრამ იანტაისა და შახეს ბრძოლის შემდეგ რუსის სამხედრო შტაბი სულ აღარა ჰფიქრობს იაპონელებზე იერიშის მიტანას. აქამდე, რამწამს ბევრი მაშველი ჯარი ჩაუვიდოდოდა, გენ. კუროპატკინი მაშინვე წინ გაილაშქრებდა ხოლმე; თითქმის თვეში ერთხელ მუდამ წინ გამართებოდა ხოლმე იაპონელებზე იერიშის მისატანად. ეხლა ოქტომბრის დამდეგსაც მიუვიდა მაშველი ჯარი მუკდენში, მაგრამ მაინც არაფრიდან არა სჩანს, რომ რუსის არმია წინ წასვლას აპირებდეს. ესეთი ქცევა გონივრულად უნდა ჩაითვალოს, რადგან სექტემბრის გალაშქრება და იერიშიც მარცხით გათავდა იანტაისთანა და მდ. შახეზე; რუსის არმიამ უკან დაიხია და მდ. შახეზე გამაგრდა, მას აქეთ მტრის მოგერიებას სცდილობს და იერიშის მიტანა და თაოსნობა იაპონელებს თაუთმო. ასეთი მოქმედების პლანი ეხლა, რასაკვირველია, უფრო ხელს მისცემს რუსის არმიას. რუსის არმიამ სექტემბერშიაც ვერ აიღო იაპონელების პოზიციები, იმ დროს, როცა იაპონელებმა ჯერ რიგზე ვერ მოასწრეს გამაგრება ლიაოიანის ჩრდილოეთით და მხოლოდ მდ. ტაიძიხეს ნაპირები ჰქონდათ გამაგრებული. ეხლა რომ რუსის არმია წინ წავიდეს, ჯერ მდ. შახესა და დალინის ქედის სამხრეთით დაუხვდება ძალზე გამაგრებული პოზიციები; თუ ვინიცობაა ეს პოზიციები აიღო, მერე კიდევ მდ. ტაიძიხეს პირად სიმაგრეების (ლიაოიანი, სიკვანტუნი, იანტაის მაღაროები, ბენსიხუ) აღება მოუხდება. ამ ბოლოს დროს მაინც ყველაფრიდან სჩანს, რომ წინ გამოლაშქრებასა და იერიშის მოტანას ისევ იაპონელები აპირობენ. როგორც ვიცით, მარშალი ოიამა ეცადა, თავისი მარცხენა ფრონტი მდ. შახესა და ხუნხეს შუა გაესწორებინა, გენ. ოკუს არმიის განაპირა მარცხენა ფრთა წინ წაეწია, იმავ არმიის მარჯვენა ფრთისათვის დაეპირდაპირებინა და სოფ. ლინშინპუს გასწვრივ დაეყენებინა. მაგრამ იაპონელების მარჯვენა ფრთაზე მოქმედებას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს: თავდაპირველად ყველაზე მეტი ყურადღების ღირსი ისაა, რომ გენ. კუროკის განაპირა მარჯვენა ფრთაზე სამუშანის მთის ქედსა და მდ. იალუს შუა საკმაოდ ბევრი ჯარი გაჩენილა. როგორც „ბირჟევია ვედომოსტი“-ს დეპეშა იუწყება, ოქტომბრის გასულს იაპონელების ორი რაზმი, რიცხვით 4 ათასამდე კაცი, ხუაიჟენსიანის მიდამოებში მისულა. ხუაიჟენსიანთან ჯერ კიდევ ივლისში მივიდა 3 ათასი იაპონელი; აგვისტოში იაპონელებმა მიატოვეს ეს ქალაქი, რადგან იმ დროს მარშალმა ოიამამ მთელ თავის ჯარს ლიაოიანს ახლო მოუყარა თავი. დიდის ყურადღების ღირსია, რომ ეს რაზმები ხელ-ახლად გაჩენილან ხუაიჟენსიანს ახლო, ერთ რაზმს განგოულინის უღელტეხილი (ხუაიჟენსიანიდან 20 ვერსზე, სამხრეთით) დაუჭერია, მეორე რაზმი-კი ხუაიჟენსიანის აღმოსავლეთით უნახავთ, მდ. იალუდან მომავალ გზაზე. ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ მარშალ ოიამას საკმაოდ ბევრი მაშველი ჯარი მოსვლია, იმდენი, რომ ეხლა ჯარის გაფანტვასაც ჰბედავს. ამას გარდა, იაპონელების ჯარის გაჩენა ხუაიჟენსიანის მიდამოებში მოასწავებს, რომ მომავალ სამხედრო მოქმედებაში უმთავრეს როლს გენ. კუროკის არმიის მარჯვენა ფრთა შეასრულებს. ხუაიჟენსიანის რაზმი, დალინის უღელტეხილს ახლო დაბინავებული ბრიგადა (ორი პოლკი) და გენ. კუროკის უმთავრეს ჯარის კოლონა (ამ კოლონის მოწინავე რაზმი ბანიუპუზა-ფუშუნ-ინპანის გზაზე დგას), ინპანისაკენ (მდ. ხუნხეზე, მუკდენიდან 50 ვერსზე, აღმოსავლეთით) გაემართება, იქიდან გენ. კუროპატკინის არმიას უყელებს და ტელინის გზის მოჭრას დაემუქრება. როდის გამოილაშქრებენ იაპონელები წინ,—ამის გამოცნობა შეუძლებელია. მართალია 5 ნოემბერს ღამით იაპონელებმა პუტილოვის გორის წინ ერთ პოზიციაზე მოიტანეს იერიში, მაგრამ არ ვიცით, ეს ამბავი საერთო იერიშის დაწყებას მოასწავებს, თუ უბრალო ლაზღერა იყო; გენ. სახაროვის დეპეშაში მხოლოდ მოკლედ ეწერა, იაპონელების იერიში მოვიგერიეთო“.

პორტ-არტური „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: გენ. ნოგის არმიიდან ცნობა მოვიდა, უკანასკნელ ბრძოლაში პორტ-არტურთან ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას იაპონელებს გენ. ფოკი უწევდათო, გენ. ფოკი რუსის მარცხენა ფრთას უფროსობსო. („პ. ვ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი სწერს: ჩიფუში რუსეთის საკონსულოში მითხრეს, რუსები პორტ-არტურში დიდძალ გრანიტს ამზადებენ და მერე [illegible] ესვრიან იაპონელებსაო. („პ. ვ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი პ. დ. კ. სწერს: „3 ნოემბერს პორტ-არტურიდან ჩიფუში რუსის კონტრ ნაღმიანი გემი „რასტოროპნი“ მივიდა. ზღვის ღელვამ, ქარიშხალმა და თოვლ-ბუქმა ხელი შეუწყეს რუსის გემს და ამ ძნელ საქმის ასრულება გაუადვილეს. „რასტოროპნი“ ღამით გავიდა პორტ-არტურიდან, იაპონიის კრეისერებსა და ნაღმიან გემებს გაუსხლტა ხელიდან და დილის 7 საათზე ჩიფუში მივიდა. როგორც ვიცით, სადამოთი „რასტოროპნი“-ს მეზღვაურები ხმელეთზე გადავიდნენ და გემი ააფეთქეს. ნაღმიან გემის გაგზავნა პორტ-არტურიდან ჩიფუში დიდად საყურადღებოა. ცხადია მეტად მნიშვნელოვანი, არსებითი ცნობები ჰქონდათ გასაგზავნი, რომ რუსებმა სამხედრო ნაღმიანი გემი მსხვერპლად შესწირეს ამ ცნობებს. ეხლა, როცა ბალტიის ესკადრა შორეულ აღმოსავლეთისაკენ მიდის, რუსები ყველაზე მეტად პორტ-არტურის ესკადრის გემების გადარჩენასა და დაცვას უნდა ცდილობდნენ; „რასტოროპნი“-ს მისვლა ჩიფუში მით უფრო ყურადღების ღირსია. მართალია წინად კერძო დეპეშამ გვაცნობა, „რასტოროპნი“-მ არაფერი „დეპეშა“ არ მოიტანა პორტ-არტურიდანაო, მაგრამ მეორე დღეს პეტერბურგში გენ. სტესელის სამი დეპეშა გამოაცხადეს და ამით აშკარად დაარღვიეს კერძო დეპეშის უცნაური ცნობა. გენ. სტესელის სამივე დეპეშიდან სჩანს, რომ რუსებს 21 ოქტომბრამდე უმთავრეს ფორტებზე მიტანილი იერიში სულ მოუგერებიათ და არც ერთი უმთავრესი ფორტი არ დაუნებებიათ იაპონელებისათვის. იაპონური ოფიციალური დეპეშებიც ამასვე იუწყებოდნენ. აქამდე ერთხელაც არ მომხდარა, რომ იაპონელების ოფიციალური ცნობა ძლიერ და არსებითად განსხვავებულიყოს რუსის ოფიციალურ ცნობებისაგან. საყურადღებოა აგრეთვე, რომ გენ. სტესელი სწერს: იაპონელები უმთავრესად ციხის ჩრდილოეთ ფრონტსა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ფრონტს ატანენ ძალასაო. ეხლა ეჭვი აღარაა, რომ ია-

პონელები რკინის გზის პირ-პირა და რკინის გზის აღმოსავლეთით მიდიან იერიშით ციხეზე; მაშასადამე, ყველაზე მედგარი იერიში ერლუნგშანისა და კუკვანშანის ფორტებზე მოაქვთ; ეს ფორტები რკინის გზის აღმოსავლეთით მდებარეობენ. ეხლა ცხადია, რომ იაპონელები ციხის აღმოსავლეთ ნაწილისაკენ მიდიან. რადგან ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ სწორედ ციხის აღმოსავლეთ ნაწილშია მოთავსებული ციხის ყველა უმთავრესი, არსებითი დაწესებულება: არსენალი, ყოველნაირი საწყობი და სურსათი, დოკები, დასასრულ ყველაზე უმთავრესი ისაა, რომ რუსის ესკადრაც აქა დგას აღმოსავლეთ ნავთ-სადგურში. ეხლა აშკარაა, რამდენად მართალი იყო ზოგიერთი ჩვენებური „მიმომხილველი“, როცა სერიოზულად ირწმუნებოდა, რომ პორტ-არტურის უკანასკნელ ბურჯად და საიმედო ფარად ლიაოტეშანი უნდა ჩაითვალოსო. ნამდვილად ლიაოტეშანს არავითარი პირდაპირი კავშირი არა აქვს ციხესთან და რუსებს მხოლოდ იმიტომ გაუმაგრებიათ, რომ იაპონელებს ლიაოტეშანის სიმაღლე არ დაეჭირათ და იქიდან ციხისათვის ზარბაზანი არ დაეშინათ. მაგრამ მაინც არ იფიქროთ, ვითომ ლიაოტეშანს უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდეს. ეჭვი არაა, რომ რუსის მეციხოვნე ჯარი ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას ციხის აღმოსავლეთ ნაწილში გაუწევს იაპონელებს. დროა გაიგოს ყველამ, რომ პორტ-არტურის ციხეს სტრატეგიულ მნიშვნელობას სწორედ რუსის ესკადრა აძლევს; ეს ესკადრაც მხოლოდ მანამდე იქნება დაცული, ვიდრე ციხის აღმოსავლეთის ნაწილი რუსების ხელში დარჩება. ეხლა, როცა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთს მიდის, პორტ-არტურის ესკადრის დაცვასა და გადარჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ ყველაზე მედგარი, გამწვავებული ბრძოლა სწორედ ციხის აღმოსავლეთ ნაწილში მოხდება. მართალია 21 ოქტომბრამდე იაპონელებს არც ერთი უმთავრესი ფორტი არა ჰქონდათ დაჭერილი, მაგრამ როგორ წავიდა საქმე 21 ოქტომბერს აქეთ, აღარ ვიცით. „რასტროპნი“ პორტ-არტურიდან 2 ნოემბერს ღამით გამოვიდა და ეჭვი არაა, გენ. სტესელის დეპეშებში აწერილი იქნებოდა, რა მოხდა პორტ-არტურში 3 ნოემბრამდე. ასე რომ ჩვენ არ ვიცით 21 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე, ესე იგი თერთმეტ დღის განმავლობაში, როგორ მიდიოდა საქმე პორტ-არტურთან. ეს გარემოებაც დიდის ყურადღების ღირსია. ნუ დავივიწყებთ, რომ 23—25 ოქტომბერს იაპონელებმა ხელ-ახლად დაუშინეს ზარბაზანი პორტ-არტურს. კერძო დეპეშებმა გვაცნობეს აგრეთვე, რომ იაპონელებმა ოქტომბერსაც დაუშინეს ზარბაზანი პორტ-არტურს და იერიშიც მიიტანესო. ამიტომ ჩვენ ველით, რომ მალე 21 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე მომხდარ ამბებსაც გამოგვიცხადებენ... გენ. სტესელის დეპეშებში ბევრი რამ სხვა ცნობა და მოსაზრებაც იქნებოდა ციხის დაცვისა, პორტ-არტურისა და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრების საერთო მოქმედებაზე და სხვ., მაგრამ ამ ჟამად შეუძლებლად მიგვაჩნია ამაზე ლაპარაკი და რისამე თქმა. მხოლოდ კონტრ-ნალმიან გემის გაგზავნა და იმისი აფეთქება მოასწავებს, რომ ეს ცნობები საყურადღებო იქნებოდა. სწრაფად მოსიარულე ნალმიან გემის გაგზავნა იმის მომასწავებელიცაა, რომ იაპონელები ეხლა უფრო ბეჯითად ჰდარაჯობენ პორტ-არტურს და რუსებს უფრო უჭირდებათ ცნობების გზავნა ჩიფუში“.

ახალი ამბავი

◆ **თავ. აკაკი წერეთლის ავადმყოფობას** ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის ცვლილება დაეტყო, რომ მარჯვენა ლოყაზე სიდამბლის ნიშნებმა გაუარა. თვალის მდგომარეობა კი ისევ ძველებურად დარჩა და ამ მოკლე ხანში ცვლილება მოსალოდნელი არ არის. საერთოდ ავადმყოფის ჯანმრთელობა მოითხოვს დამშვიდებულ ცხოვრებას და მუდმივ წამლობას.

ექიმები: მიხეილ გედევანიშვილი, ს. ვირსალაძე, ვ. მანსვეტოვი, ვ. მუსხელიშვილი და ვ. ღამბაშიძე.

◆ როგორც „რუს. სლოვო“ გადმოგვცემს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში 24 ნოემბრისათვის დანიშნულია განსახილველად საქმე განჯის **ვიცე-გუბერნატორის ანდრეევის მოკვლის** შესახებ.

◆ „ბაქ. იზვ.“ სიტყვით, ქუთაისის ოლქის სასამართლომ ამას წინად განიხილა **პოლიციის აგენტის ტ. არაშიძის მოკვლის** საქმე. ბრალი ედებოდა ხუთ კაცს. სასამართლომ დამნაშავედ იცნო მხოლოდ ერთი დოლიძე და გადაუწყვიტა 10 წლით კატორღაში გაგზავნა.

◆ **გურია-სამეგრელოს** სასულიერო მთავრობის განკარგულებით, როგორც გადმოგვცეს, ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელში ამიერიდან დაბალ კლასებში მოუმზადებელ **ბავშვებს** აღარ მიიღებენ.

◆ 9 ნოემბერს ბაქოში **ხოლერით ავად გამხდარა** ოთხი კაცი, მომკვდარა ორი. 10 ოქტომბრიდან 6 ნოემბრამდე ბაქოს გუბერნიის მაზრებში (ქალაქ ბაქოს გარდა) ხოლერისაგან მომკვდარა 116 კაცი.

◆ კავკავის რკინის გზამ გადასდო 55 ათასი მანეთი ამ **ხოლერიანობის დროს** მოსამსახურეთა დასაჯილდოვებლად. იმავე გზამ, როგორც ვწერდით, დაადგინა მოუმატოს ჯამაგირი ტელეგრაფისტებს. მკითხველებმა უთუოდ იციან, რომ კავკავის გზა კერძო საზოგადოებას ეკუთვნის, ამიერ-კავკასიის გზა-კი—ხაზინას.

◆ ყარაიაზში სოფელ ნოვომიხაილოვკაში აღმოჩნდა საეჭვო ავადმყოფი; **ამბობენ, ხოლერიანიაო.** შესაფერ ზომების მისაღებად გაიგზავნა საგუბერნიო ექიმის თანაშემწე რ. დ. მაჭავარიანი.

◆ **კავკასიის მთავარ-მართებლის** თანაშემწე გენერალი მალამა ხვალ, 14 ნოემბერს, წამოვა ეკატერინოდარიდან. გენერალი პირდაპირ ტფილისს მოვა.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, საგუბერნიო სამმართველომ წინადადება მისცა **ტფილისის მოქალაქეთა გამგეობას** საქმეების წარმოების დროს იხელმძღვანელოს რევიზორის მიერ აღნიშნულ შენიშვნებით. ეს შენიშვნები კრებამ განიხილა 6 და 11 ნოემბერს. კამათი გამოიწვია ორმა წინადადებამ. პირველი: მოქ. გამგეობა ვალდებულია ხარჯთ-აღრიცხვა საგუბერნიო მთავრობას წარუდგინოს ნოემბრამდე. კრებას პრინციპიალურად არ აუთქვამს რა ამის წინააღმდეგ, მხოლოდ ვერა სცნო შესაძლებლად, რომ წელს აღსრულდეს იგი, რადგან ეხლანდელ რწმუნებულთ სამსახურის ვადა უთავდებათ და არ შეიძლება იმათ მიერ შემუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვით იხელმძღვანელონ ახალმა რწმუნებულებმაო. კრებამ დაადგინა, მიელოს გუბერნატორის მოწერილობა შემდეგ წლებისათვის. მეორე წინადადება შეეხება კამერალურ აღწერილობის წიგნების შედგენას. 1866 წლის კამერალურ აღწერილობის წიგნები ისე დაშლილია და დახეულია, რომ ამ წიგნებით სარგებლობა შეუძლებელია. გუბერნატორი სწერს, ერთ წელიწადში წიგნები გადააწერინეთო. სულ უნდა გადაიწეროს 60 წიგნი. როგორც გამოირკვა, ამის დასაბეჭდად საჭიროა სულ 7,000 მანეთი. კრებამ დაადგინა, ამ საქმის განხორციელება გადაიდოს ახალ რწმუნებულების არჩევნამდე.

◆ გუშინ, 12 ნოემბერს, ქალაქის მოურავის მოადგილემ აცნობა გუბერნატორს, რომ განხილვა **ნაძალადევ ლების** იახოვნისა საიჯარო მიწების შესყიდვის შესახებ ჯერ არ არის დამთავრებულიო. განსაკუთრებული კომისია ამ შუამდგომლობის შესახებ მოხსენებას ამზადებს თურმე და მალე წარუდგენს ქალაქის საბჭოს.

◆ ბ-ნ ა. ი. მანთაშევს, როგორც „მშაკი“ გადმოგვცემს, აღუთქვამს **სომხურ დრამატიულ საზოგადოებისათვის** ხუთას-ხუთასი თუმანი წელიწადში სამის წლის განმავლობაში.

◆ 16 ნოემბრიდან **სიღნაღში** შეუდგება საქმეების განხილვას ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია დარჩება ამ ქალაქში 27 ნოემბრამდე.

◆ **დუშეთის მაზრის სამრევლო სკოლების** მეთვალყურე მ. კანდელაკი დაინიშნა მ. მეტრეველის ადგილას დუშეთში თავმჯდომარედ ადგილობრივ სამაზრო განყოფილებისა, ხოლო მ. მეტრეველი გადაიყვანეს ყაზბეგის რაიონის მეთვალყურედ.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი**, ინჟინერი ივანოვსკი, რომელიც უკვე დაბრუნდა პეტერბურგიდან, 12 ნოემბერს თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა ეცნობოს ყველას, რომ იმ ყმაწვილ-კაცთ, რომელნიც საქალაქო და სამაზრო **სამხედრო ბეგრის საკრებულოების** შემოწმებით კმაყოფილნი არ არიან, საჩივარი საგუბერნიო საკრებულოს კი არა, საქალაქო და სამაზრო საკრებულოებსვე უნდა გადასცენ, რადგან საგუბერნიო საკრებულო ამ საჩივრებს სამაზრო საკრებულოებს უგზავნის ცნობების შესაკრებად და ამით საჩივარი გვიანდებაო.

◆ 11 ნოემბერს სხდომა ჰქონდა ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას. ქალაქის საქმეთა სარევიზიო კომისიამ ამას წინად შენიშნა, რომ ქალაქის სკოლებში სწავლა დასრულებულთაგან წელს ბევრმა ეგზამენი ვერ დაიჭირა სახელოსნო სასწავლებელშიო. მოთხოვნილი იყო 66 ყმაწვილი; აქედან 29 ყმაწვილმა ეგზამენი ვერ დაიჭირა. სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაადგინა, შეეკითხოს სასწავლებლის დირექტორს, რატომ არ მიიღეს ეს ყმაწვილები. ამავე სხდომაზე კომისიამ მოისმინა შუამდგომლობა ნაძალადევის მცხოვრებთა პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ. კომისია ამ თხოვნის შესახებ ვერავითარს გადაწყვეტილებას ვერ დაადგა, რადგან [illegible] აწერა და [illegible] აღნიშნული.

◆ ქარელი. 11 ნოემბერს საღამოს 8 საათსა და 15 წუთზე მატარებელმა № 271 სადგურზე შესვლის დროს გაჭყლიტა დარაჯი კაზო თედებაშვილი, სოფელ ქარელის მცხოვრები.

◆ 11 ნოემბერს ტფილისიდან ამიერ-ბაიკალის გზაზე წავიდა სამი სადგურის უფროსის თანაშემწე.

◆ განჯა. 10 ნოემბერს მატარებლის № 6-ში ჰნახეს მკვდარ დედაკაცის პეტროსოვის გვამი. პეტროსოვისა ერევნიდან არმავირს მიდიოდა. ფიქრობენ, რომ პეტროსოვისა ხოლერისაგან მოკვდა.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში მომავალ კვირას სასოფლო-მეურნეობის შესახებ რამდენსამე ლექციას წაიკითხავს მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობის იურისკონსულტი.

◆ სოფ. შატილში (პირიქით ხევსურეთი), თიანეთის მაზრის უფროსის განკარგულებით გაიგზავნენ ფშავ-ხევსურეთის საბოქაულოს გამგე ოზიაშვილი და თუშეთ-კახეთის საბოქაულოს გამგე ცისკარიშვილი.

◆ 10 ნოემბერს ხოჯივანქის სასაფლაოზე ვიღაც ბოროტ-მოქმედთ მოუკლავთ ვაჟთა გიმნაზიის ტანსაცმელში გამოწყობილი ყმაწვილი, რომლის პიროვნება, ისევე როგორც მკვლელის ვინაობა, ჯერ ვერ გამოიკვლიეს.

◆ გუშინ, 12 ნოემბერს, ვანქის ტაძრის გალავანში ახალციხის მცხოვრებმა სასიკვდილოდ დასჭრა თავისი ცოლი. ცოლ-ქმარნი სომეხთა კონსისტორიაში ყოფილან ამ დღეს. დაჭრის შემდეგ ქმარი გაიქცა; დაჭრილი ცოლი-კი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ სად. კარაკლისი. 9 ნოემბერს რკინის გზის მე-154 ვერსზე საქონლის მატარებლის № 41, გავლამდე ვიღაც ბოროტ-განმზრახველებს რელსებზე ქვები დაეწყოთ. ასევე დაეწყოთ ქვები 30 ოქტომბერს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ჩვენის საყვარელ მგოსნის აკაკის ავადმყოფობამ ძლიერ შეაწუხა ქუთაისის საზოგადოება. 8 ნოემბერს საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში თავი მოიყარა აკაკის პატივისმცემლებმა, რომ მოელაპარაკნათ შესახებ იმისა, თუ როგორი დახმარება აღმოუჩინონ ავადმყოფს. კრებამ ამ ჟამად უმჯობესად სცნო აღმოუჩინოს ავადმყოფს ერთ დროული შემწეობა, რომ შესაძლებელი შეიქმნეს მისი საზღვარგარედ გაგზავნა საექიმოდ; ვისაც სურს, შეუძლიან ყოველთვიურადაც ნაწილ-ნაწილად იხადოს ფული. ფულის შესაკრებად არჩეულ უნდა იქმნას კომიტეტი, რომელიც შეკრებისათანავე ფულს წარუდგენს „წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოებას. კომიტეტი მიმართავს ფულის შესაკრებად როგორც კერძო პირთ, ისე საზოგადო დაწესებულებათ; სხვათა შორის, მიმართავს სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტს, რომ იმ ფულიდან აღმოუჩინოს ავადმყოფს შემწეობა, რომელიც კომიტეტის განკარგულებაშია; ბანკის რწმუნებულთა კრებაზედ კი აღძრან შუამდგომლობა, რომ აკაკის შემდეგშიაც აძლიონ ყოველ წლიურად 1500 მანეთი, როგორც ამ წლამდის აძლევდნენ (ამ წელს აკაკის აღარ მიეცა ხსენებული ფული, რადგან აკაკისავე სურვილით ამ ფულის ნაცვლად განუთავისუფლეს მას ბანკში დაგირავებული მამული). მიმართავს აგრეთვე ჯერ ქიათურის შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს, შემდეგ კი მრეწველთა საზოგადო კრებას შემწეობის აღმოსაჩენად. ეს უკანასკნელი, უეჭველია, არ დაივიწყებს იმ დიდს ღვაწლს, რომელიც მიუძღვის აკაკის ქიათურის მრეწველობის საქმეში, და ეხლაც ჩვეულებრივ დაეხმარება. კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. ლ. ბახტაძე, გ. ლ. ქორქაშვილი, ს. ა. ქვარიანი, თ. ი. ხუსკივაძე, რ. ი. კანდელაკი და ა. ს. საყვარელიძე. ეს უკანასკნელი არჩეულ იქმნა კომიტეტის თავმჯდომარედ. მასთანვე ინახება დროებით კომიტეტის მიერ შეკრებილი ფული. კრებამ დაავალა კომიტეტს, სთხოვოს ქუთაისურ ქალებსა და ვაჟებს, რომ მათაც მოახდინონ კრება და ამოირჩიონ წარმომადგენელნი, რომელნიც შეუერთდებიან კომიტეტის წევრებს და მათთან ერთად იზრუნებენ ფულის შეკრებისთვის. ამ საღამოს კრებაზე დამსწრემ ყველამ მოაწერა ხელი სიას და იკისრა ერთდროულად გადაიხადოს 5 მანეთიდან 20 მანეთამდის.

◆ 8 ნოემბერს, საღამოს შვიდ საათზე, გიმნაზიის ქუჩაზე, ბულვარის გვერდით, ვიღაცამ რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრა ჯინორია და გაიქცა. დაჭრილი მაშინვე საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ მალე დალია სული. მკვლელი ვერ შეიპყრეს და ვერც იმისი ვინაობა გაიგეს.

◆ 16 ნოემბერს, ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის ხიდების შემოსავლის იჯარით გასაცემად. ამდენ ხანს ხიდები იძლეოდა ყოველ წლიურად 18,300 მანეთს. საიჯარო ვადა ორი წელიწადია, 1905 წლის 1 იანვრიდან დაწყებული.

პრესსა

„ნოვ. ვრ.“-ში დაბეჭდილია წერილი ბ. ბრჟესკისა რუსეთის დღევანდელ შინაგან პოლიტიკის შესახებ. მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას ამ წერილის ზოგიერთ ადგილებს.

ხელმწიფის ალექსანდრე მე-II-ს მოკვლის შემდეგ, რომელიც ერთი ჯგუფის ბრალი იყო, მთავრობამ ბრალი მთელი რუსეთის საზოგადოებას დასდო და ეს საზოგადოება საპოლიციო ზედამხედველობას დაუმორჩილა. ეს ზედამხედველობა მით უფრო ძნელი შეიქნა, რომ ადგილობრივი უმაღლესი ადმინისტრატორები-გუბერნატორები წარმოადგენდნენ რუსეთში ძლიერ ფესვ-გადგმულ პროტექციის, მძლავრთა მფარველობის ნაყოფს.

ამგვარ ადმინისტრატორთა მოქმედებამ გააჩინა მრავალი უკმაყოფილო ხალხი. მაღალ ხარისხის ადმინისტრატორები ხშირად, პირად გრძნობით გატაცებულნი, უსიამოვნებას აყენებდნენ და ავიწროვებდნენ პატივცემულ საზოგადო მოღვაწეთ.

წარმოიდგინეთ აგრეთვე, რა ბედი უნდა შემთხვეოდა იმ კერძო და საზოგადო დაწესებულებათ, რომელთა სვე-ბედი ამგვარ ადმინისტრატორებს ჩაუგდეს ხელში, მათ სასტიკ ზედამხედველობას დაუმორჩილეს. ასეთმა წესწყობილებამ მოიმდურია და გადაიმტერა ის მრავალი ხალხიც, რომელიც, სხვა პირობებში, კონსერვატიზმს მიემხრობოდა, წესწყობილების ცვლილებას არ ისურვებდა.

შემდეგ ბ. ბრჟესკი ეხება იმ მოვლენას, რომ მთავრობა ყურადღებას არ აქცევს ამ უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში რუსეთის შინაგან ცხოვრებაში მომხდარ პროგრესს. ახლმა რკინის გზებმა ასპარეზი

ფელეტონი

ჩვენი შეუგნებლობა

„ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე წეობილებაში ბევრი დაბრკოლება ჰხვდება წინ ქართულ წიგნს და ქართულ ენას. მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ ქართული ენის არ დამფასებელი და აბუჩად ამგდები არა იშვიათად თვითონ ჩვენ, ქართველები, ვართ; გვავიწყდება, რომ იმ განძს, რომელსაც პატრონი არ უვლის და არ ექომაგება, უცხო და გარეშე არ დაუწყებს პატრონის სასარგებლოდ და სახეიროდ ქომაგობას და მფარველობას... ჩვენ გვინდა სხვამ გაგვიკეთოს ის, რასაც თვითონ ჩვენ არ ვაკეთებთ თავისთვის, როცა კი შეგვიძლია და ხელი მიგვიწვდება. ადვილია ყველაფრის სხვის თავზე გადატანა და სხვისთვის დაბრალება; ამ შემთხვევაში ამ გადაბრალებას ბევრი სიმართლე ახლავს. მხოლოდ არ არის სიმართლე, როცა ჩვენ ჩვენი თავი მუდამ უდანაშაულოდ გამოგვყავს და ჩვენს შეუგნებლობასა და თვით-ცნობიერების ნაკლებობას „გარეშე მიზეზებით“ ვაფუჩენებთ და ვფარავთ“.

ის იყო, ეს სტრიქონები დავწერე, რომ სახლში ერთი ძალიან მოუსვენარი და ლაპარაკის მოყვარე ნაცნობი შემომივარდა.

—ერთი წუთით შემოვედ,—ოპერაში მიმეჩქარება, მომაძახა კარებიდან.

შემამა მისი განზრახვის გაგება და თავისუფლად ამოვისუნთქე...

— ხელი ხომ არ შეგიშალე? აკეთებ რამეს?

— არა.

— როგორ არა,—რაღაცას სწერ.

— ჰო, თავს ვიქცევ.

— აბა ვნახო...

გადაიკითხა დაწერილი სტრიქონები. აიშმუშნა...

— რა წყაროდან ამოგიწერია ეს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები?

— ჩემივე წერილიდან, რომელიც ამ რამდენისამე თვის წინად დაიბეჭდა.

— მერე დანაბეჭდი ხელ-ახლა უნდა გადმოსწერო და გაიმეორო? გეტყობა, მასალა შემოგაკლებია. მკითხველს ახალი ამბები, ახალი საგნები, ახალი საკითხები ეინტერესება და არა ძველი და განმეორებული. ეხლა ახალი ცხოვრებაა, ახალი ხანაა, ახალი განათლებაა, ბევრი ახალი მოთხოვნილებაა. ქართულ ჟურნალ-გაზეთებსაც იმიტომ არ კითხულობენ, რომ ის ახალ მკითხველს არ აკმაყოფილებს. პრესსამ უნდა აიღოს ახალი ცხოვრების ალღო, უნდა შეიმუშაოს ახალი აზრები, ახალი იდეები; მწერლებს უნდა ესმოდეთ, რომ ახალი წეს-წყობილება...

და გაჰქუხა.. სრული ნახევარი საათი ილაპარაკა ჩემმა ნაცნობმა. ყოველი მისი წინადადება სიტყვა „ახალი“-თ იწყებოდა და „ახალი“-თვე თავდებოდა. მინდოდა მეთქვა, რომ ყოველთვის „ახალი“ არ შეიძლება, ხანდახან „ძველიც“ საჭიროა, რომ „ძველ“ საზრუნავსა და საჭირ-ბოროტო საგანზე აზრის განმეორებაც უსარგებლო და უმნიშვნელო არაა მეთქი. მაგრამ იმ ლაღოცვილმა არ დამაცადა,—რაც სათქმელი ჰქონდა, დაჰბერტყა და ფაცა-ფუცით თავის გზას გაუდგა. ისე მოუთმენლად და სხაპა-სხუპით ლაპარაკობდა, რომ მისი ნალაპარაკევი ხეირიანად ვერ გავიგე და არც დამამახსოვრდა. გავიგე მხოლოდ, რომ ჩემი თანამოსაუბრე რაღაც „ახალს“ თხოულობდა გაზეთისაგან, ხოლო რა ხასიათისა და შინაარსის უნდა იყოს ეს „ახალი“, თვითონ მას არ ჰქონდა კარგად წარმოდგენილი.

მიუხედავად ამისა, ამ—აზრის მხრით—ბუნდოვანმა მასლაათმაც გავლენა იქონია; მან აღმიძრა სურვილი, დღევანდელ წერილში, რომლის საგანი ჩვენს მწერლობაში მრავალჯერ აღნიშნული და განმარტებული ყოფილა და, მაშასადამე, თავის თავად „არ ახალია, ძველია“, კიდევ შემეღვალა და ისეთი ფაქტები და საბუთები შემეტანა, რომ ჩემს ნაცნობს „ახლად“ ეჩვენებოდა და ამგვარად მისი მოთხოვნა დამეკმაყოფილებია.

ესრედ წოდებული „ზოგადი ცოდნა“ არ არის ნამდვილი ცოდნა. შეიძლება, ვინმემ იცოდეს, რომ, მაგალითად, მიწა ბრუნავს, მაგრამ არ შეეძლოს ამ ჭეშმარიტების დამტკიცება, მისი დასაბუთება. შეიძლება ასევე, ბევრმა „იცოდეს“, რომ ჩვენ, ქართველებს, ძალიან გვაკლია ეროვნული შეგნება და თვით ცნობიერება, მაგრამ არ იცოდეს, რამდენად დიდია ეს „ნაკლებობა“. რაიმე მოვლენის ყოველ მხრივ ასაწონ-გასაზომად და სავსებით შესაგნებად არ კმარა მარტო ზეპირი „ცოდნა“; ამისთვის საჭიროა კერძო ფაქტების გაცნობა და მათი მნიშვნელობის გათვალისწინება.

არის ბევრი ისეთი ფაქტი, რომელიც ხნით „ძველია“, მაგრამ მაინც მრავალთათვის უცნობია და, მაშასადამე, „ახალია“. გამოკრება და გამომზეურება ამგვარ ფაქტებისა უეჭველად საინტერესოა და საზოგადოებრივ ცნობიერებისათვის სასარგებლოა. დღეს მე მინდა იმ ჩემი ნაცნობისა და მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ ფაქტიურ ცნობებს, რომლებიც სქელ სტატისტიკურ წიგნებშია ჩამარხული და ჩვენი ხალხოსნურ თვით ცნობიერების გასაზომავად და დასახასიათებლად ფრიად საინტერესო და საგულისხმიეროა. ეს წიგნებია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან გამოცემული წლიური „ანგარიშები“, რომლებშიაც სახელმწიფო სასწავლებელთა შესახებ ყოველგვარი ცნობებია მოთავსებული.

როგორც იცით, სახელმწიფო სასწავლებლებში ადგილობრივი ენები სავალდებულო სასწავლ საგნებად არ ითვლება, ე. ი. კავკასიის მკვიდრ მცხოვრებთა შვილებს (ქართველებს, სომხებს, თათრებს) არ ევალებათ სასწავლებელში მთავრობისაგან, უეჭველად ისწავლონ თავიანთი დედაენა. ამასთან ადგილობრივ ენებს მხოლოდ დაბალ კლასებში ასწავლიან მსურველთ. ცხადია, დედა-ენის სწავლება სახელმწიფო სკოლებში ძალიან შეზღუდული და შემცირებულია. ეს შემცირება ისეთი მიზეზის მეოხებით ჰხდება, რომელიც არც ჩვენსა და არც კავკასიის სხვა ხალხთა სურვილსა და ნებაზე დამოკიდებული არაა. რა თქმა უნდა, ეს გარემოება დიდად აბრკოლებს ჩვენში ქართული ენის ცოდნის გამტკიცებას და ჩვენს ხალხოსნურ განვითარებას.

მაგრამ შეცდომაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ მთელი ბრალი მარტო ამ „გარეშე გარემოებას“ ედება და თვითონ ჩვენი საზოგადოება სრულად გასანთავისუფლებელია ბრალდებისაგან. ამგვარ ფიქრის სიყალბეს სავსებით ცხად ჰყოფს ხსენებულ ოფიციალურ „ანგარიშების“ სტატისტიკა.

რაც უნდა შეზღუდული და შემცირებული იყოს სახელმწიფო სკოლებში ქართული ენის სწავლება, იგი მაინც მთლად მოსპობილი არაა. ავადაა თუ კარგად, ეს სწავლება დღემდის კიდევ სწარმოებს და ამიტომ ქართველ მოწაფეს შეეძლია, თუ ისურვებს, გიმნაზიაშიაც ისწავლოს ქართული წერა-კითხვა. საინტერესოა ვიცოდეთ, რამდენი მოწაფე სარგებლობს ამ უფლებით და ცდილობს შეისწავლოს თავისი დედა-ენა? აქ არ არის ძალდატანება და საქმე მშობელთა სურვილსა და ნება ყოფლობაზეა მიშვებული, ხოლო თუ ყველა ქართველი მოსწავლეები არ სწავლობენ სკოლაში ქართულ წერა კითხვას, ამაში ბრალი უმთავრესად მშობლებს უნდა დაედვას და არა რაიმე „გარეშე“ მიზეზსა ან გარემოებას.

ჩვენთვის ძალიან უნუგეშო სურათს წარმოადგენს ამ მხრით სასკოლო „ანგარიშების“ სტატისტიკა. გავსინჯოთ ჯერ ის ციფრები, რომელნიც სავაჟო გიმნაზიებს შეეხებიან და ქართულისა და სომხურ ენის სწავლის ვითარებას გვიხნებენ.

დაბალ კლასებში, სადაც ადგილობრივ ენებს ასწავლიან, სწავლობდა თავის დედა-ენას (პროცენტობით):

წლები	ტფ. 1-ლი გიმნაზ.		ტფ. მე-2 გიმნაზ.		ტფ. მე-3 გიმნაზ.		ქუთაისის გიმნაზ.	
	ქარ.	სომ.	ქარ.	სომ.	ქართ.	სომ.	ქარ.	სომ.
1889	80,0	71,0	100,0	100,0	—	—	100,0	—
1890	95,5	73,9	95,6	94,9	—	—	100,0	—
1891	71,5	64,1	91,7	89,2	—	—	97,2	—
1892	85,0	93,9	100,0	98,1	73,9	98,7	98,4	—
1893	88,4	97,6	98,6	92,2	100,0	?	100,0	—
1894	81,4	89,3	100,0	100,0	100,0	100,0	98,5	—
1895	76,9	63,7	100,0	100,0	100,0	100,0	98,4	—
1896	93.2	53,2	84,2	79,9	97,7	100,0	100,0	—
1897	86,4	65,9	88,8	95,0	90,2	96,7	98,0	—
1898	84,7	93,5	75,5	89,4	100,0	?	100,0	—
1899	69,8	92,9	92,4	76,5	97,7	99,0	69,3	—
1900	61,0	60,0	77,5	99,0	100,0	97,9	66,4	—
1901	47,1	77,5	87,1	81,4	74,5	82,1	54,4	—
1902	72,0	69,4	79,7	100,0	76,2	86,0	51,2	—

დიდი დაკვირვება არაა საჭირო რომ მკითხველმა გაიგოს ამ ციფრების მნიშვნელობა. ტფილისის პირველ გიმნაზიაში 1889 დან 190 წლამდის ყველა ქართველ მოსწავლეებს არც ერთ წელიწადს არ უსწავლიათ ქართული ენა; მთელ რიცხვს ხან აკლდა 5% და ხან ნახევარზე მეტი. ტენდენცია ასეთია, რომ ქართველებში დედა-ენის მოტრფიალეთა რიცხვი შედარებით თანდათან მცირდება. 80% და 95,5% 1889—1890 წლებისა ნაცვლის 72%—47%-ზე 1899—1902 წლებში. ამავე დროს ზრდა და მატება ემჩნევა სომხურის მოსწავლე მოწაფეთა რიცხვს. ასეთივე ტენდენცია ჩანს ტფილისის მეორე და მესამე გიმნაზიაში და აგრეთვე ქუთაისისაშიც: ქართული ენის მოსწავლეთა რიცხვი მცირდება უკანასკნელ წლებში, ხოლო სომხებისა ყოველთვის უახლოვდება 100 პროცენტს.

ქართულისადმი მეტი ინტერესი და სიყვარული ემჩნევათ ქართველებს ტფილისის რეალურ სასწავლებელში. აქ სწავლობდა თავის დედა-ენას

1889 წ. ქართ. 100% და სომეხთა 94%
1890 „ „ 100 „ „ „ 96 „
1891 „ „ 100 „ „ „ 100 „
1892 „ „ 100 „ „ „ 98 „

გაუხსნა რუსეთში კერძო თაოსნობას, [illegible] რო განაცხოველა ევროპასთან სავაჭრო, სამრეწველო ურთიერთობა, გონება გაუხსნა ხალხს, ცხადად დაანახვა სხვა ქვეყნებში არსებული წესები, ადამიანის პიროვნული უფლება კრებების გამართვისა და საერთო საქმის შესახებ საერთოდ მსჯელობისა.

რუსეთის ცხოვრების საზოგადოებრივმა განვითარებამ შეჰქმნა ეგრედ წოდებული განათლებული მესამე წოდება—ბურჟუაზია, რომელიც წინად არ ყოფილა და რომელსაც ძველი წეს-წყობილება არ აკმაყოფილებს. იგი ვეღარ ეტევა შიგა, როგორც ბალღის აკვანში-მოზრდილი ადამიანი. საადმინისტრაციო ზედამხედველობის არტახები—აუტანელი დაბრკოლებაა რუსეთის დღევანდელ განათლებულ მკვიდრისათვის. განათლებულ ადამიანის შეზღუდვა იმიტომ არის ძნელი, რომ მას წარმოდგენილი აქვს, ნათლად ესმის, თუ რაში მდგომარეობს ადამიანის ნამდვილი ღირსება და უფლებანი. იგი ადამიანის განვითარებულ აზრისა და მისწრაფების წარმომადგენელია, რომლის მოსპობა, სამუდამოდ შეჩერება შეუძლებელია და არსად არ მომხდარა მთელ დედამიწის ზურგზე.

**

„ნ. ვრ.“-ს თანამშრომელს ბ. სტ-ნს მოჰყავს შემდეგი საგულისხმიერო მაგალითი რუსეთის ცხოვრებიდან:

> სამხრეთ რუსეთის ერთ სოფელში ადგილობრივ მემამულის შვილმა წიგნის სავაჭრო პატარა მაღაზია გახსნა გლეხებისათვის. ამ მაღაზიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: იგი ერთად ერთი სასოფლო წიგნების სავაჭროა მთელ რუსეთის იმპერიაში.
>
> რუსეთში 150-მდე მილიონი ხალხი ცხოვრობს. რუსეთს მთელი დედა-მიწის ხმელეთის მეექვსე ნაწილი უჭირავს.
>
> და რუსეთში სოფლად მხოლოდ ერთად-ერთი წიგნების სავაჭროა.
>
> ამ საქმის მოწყობას ყველა ერიდება რუსეთში, ყველას ეშინია, რაიმე უსიამოვნებას არ წააწყდეს.
>
> როცა ზემო აღნიშნულმა მემამულის შვილმა ერთ წიგნებით მოვაჭრე ფირმის მოთავეს რჩევა ჰკითხა, როგორ უნდა მოვაწყო სოფელში წიგნების სავაჭრო, მოთავემ გააფრთხილა ახალგაზდა კაცი, ყურში ჩასჩურჩულა: „ფრთხილად იყავით: წიგნების ორი მაღაზია უკვე დაიხურა სოფლებში და ამ საქმის მოთავენი დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილნიო“.
>
> როცა სოფელში ვინმე კითხვის გამართვას აპირებს, ძილ-მოკიდებული ადგილობრივი პოლიციის მოხელე იღვიძებს და ამზადებს თავის საპოლიციო მანქანას ყოველ შემთხვევისათვის.

თეატრი

როგორც მკითხველებმა უწყიან, ქართულ დრამატიულმა ამხანაგობამ გადასწყვიტა კვირა დღეებში წარმოდგენები მდაბიო ხალხისთვის ჰმართოს ხოლმე ვეტცელის თეატრში, რომელიც მახვილის ქუჩაზე იმყოფება, სადაც ვეტცელის სასტუმროა. პირველი წარმოდგენა გაიმართება ხვალ, კვირას; ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. წარმოადგენენ დენიერის მელოდრამას „ორ ობოლს“. მთავარ როლებს ასრულებენ ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ალ. ლეჟავა, ალექს. კარგარეთელი და სხვანი.

—

შაბათს, 13 ნოემბერს, ქართულ სახალხო თეატრის სექციის მიერ რკინის გზის სახელოსნოების თეატრში წარმოდგენილი იქნება დრამა [illegible], თ. შეყლაძის მიერ. დასა[illegible]ათზე.

—

ხონი. 6 ნოემბერს ქუთათურ მასხობის ბ-ნ ნემსის მეთაურობით გაიმართა ქართულ რუსული წარმოდგენა. ქართულად წარმოადგენეს „ეხლანდელი სიყვარული“, კომ. 4 მოქ. ვ. აბაშიძისა; რუსულად—„ღმერთმა შეგაბერთო“, ვოდ. ა. ჩეხოვისა. როგორც ქართულმა, ისე რუსულმა პიესამ რიგიანად ჩაიარა. კარგად ჩაატარა იაკობ სისტიკაძის როლი ბ-ნმა ნემსმა. დანარჩენებიც შეძლებისა დაგვარად ეხმარებოდნენ. ურიგოდ არ ჩაიარა არც რუსულმა პიესამ. დასასრულ ბ-ნმა ბახტაძემ წაიკითხა ორი ლექსი. თეატრი სავსე იყო საზოგადოებით. **ბალავაძე.**

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად ვარშავის უნივერსიტეტიდან უწესოებისათვის გამორიცხული 111 სტუდენტი საერო განათლების მინისტრის განკარგულებით ისევ მიღებულ იქმნენ უნივერსიტეტში. („ვარშ. დნ.“).

◆ კიევის უნივერსიტეტში 2 ნოემბერს შემდეგი განცხადება გამოაკრეს: „მოვალედ ვრაცხ თავს წინდაწინვე გავაფრთხილო ბ.ბ. სტუდენტებს, რომ თუ კრებას მოახდენენ, უმაღლეს მთავრობის განკარგულებით სასტიკი ზომები იქნება მიღებული და კრებაში მონაწილეები დაისჯებიან, სხვა სასჯელს გარდა, აგრეთვე ადმინისტრატიულის წესით: 3 თვით ციხეში დაპატიმრებით, როგორც დამრღვევნი იმ დადგენილებისა, რომელიც ყოველნაირ ყრილობათა შესახებ გამოსცა კიევის, პოდოლის და ვოლინის გენერალ-გუბერნატორმა. ამისათვის ვიწვევ გონიერ სტუდენტებს, მოარიდონ თავი იმ ადგილებს, სადაც მათი ამხანაგების ბრბო იკრიბება, რათა ისინიც არ ჩაითვალონ კრების თანამოაზრეებად. რექტორი უნივერსიტეტისა ნ. ბობრეცკი“. („კიევ. გაზ.“).

◆ 1 ნოემბერს პეტერბურგის სამოსამართლო პალატის განსაკუთრებულ საკრებულოში წოდებრივის წარმომადგენლების თანადასწრებით ირჩეოდა გლეხის ვასილ მასლიუკოვის საქმე პოლიტიკურ დანაშაულობის ჩადენისათვის. ამავე დღეს, „კიევლ.“ სიტყვით, უნდა გარჩეულიყო ოთხი საქმე: რამდენისამე კაცს ბრალდება პოლიტიკური დანაშაულობის ჩადენა. რადგანაც მასლიუკოვის გარდა არც ერთი დამნაშავე არ გამოცხადდა, მხოლოდ ერთი საქმე გაირჩა დაუსწრებლად. ბრალდებული გაამართლეს.

◆ ქ. სენნოში, მოგილევის გუბერნიაში, გაწვეულმა სათადარიგო ჯარის კაცებმა 11 და 12 ოქტომბერს უწესოება მოახდინეს. როცა ქალაქ სენნოში მოდიოდნენ, სოფ. ვისოკი გოროდეცში სათარიგო ჯარის კაცებმა, „პრავო“-ს სიტყვით, გასტეხეს არაყის დუქანი, დაბა ობოლცის ბევრ სახლში და სინაგოგაში გამოამტვრიეს ფანჯრები. როცა ქალაქში ჩამოვიდნენ, იქაც გასტეხეს არაყის დუქანი და ებრაელთა 2 დუქანი; შემდეგ უწესოების მომხდენნი გაჰქანდნენ სახელმწიფო არაყის საწყობისაკენ, მაგრამ აქ ისინი ჯარმა შეაჩერა. ქალაქში ყველა დუქანი დაკეტილი იყო.

◆ „რუსკ. ლისტ.“-ის სიტყვით, ამ დღეებში მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის სამმართველოსთან დაიწყება დირექტორების კრება გიმნაზიებისათვის შედგენილ ახალ წესდების პროექტის განსახილველად. გიმნაზიებში შემდეგი რეფორმებია განზრახული: ყოველ კლასში უნდა დაწესდეს ახალი აღმზრდელის ადგილი; ინსპექტორის მაგიერ დირექტორის თანაშემწე უნდა იყოს; ყოველ კლასში მოწაფეთა რიცხვი 35 არ უნდა აღემატებოდეს; კანიკულები უნდა შემოკლდეს და მასწავლებლებს ჯამაგირი მოემატოს; გაკვეთილების რიცხვი შეიცვალოს. გიმნაზია ორი ტიპისა უნდა იქნეს: პირველი ტიპის გიმნაზიაში სავალდებულო იქნება ერთი რომელიმე ძველი ენის სწავლა, მეორე ტიპისაში კი სავალდებულო იქნება ლათინურიცა და ბერძნულიც.

◆ დონის როსტოვიდან „რუს. სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ საშუალო ტეხნიკურ-სასწავლებლის მზრუნველმა ჩურილინმა და იმის ამხანაგმა მზრუნველობას თავი დაანებეს იმის შემდეგ, რაც გაზ. „რუს“-ში დაიბეჭდა, რომ ამ სასწავლებელში ორმა მოსწავლემ თავი მოიკლა და ერთსაც უნდოდა თავის მოკვლაო. საბჭომ დაადგინა, ჯერჯერობით ახალი მზრუნველები არ მოიწვიოს და სკოლას მოუსპოს დროებითი შემწეობა, ამასთან საბჭომ დაადგინა, სამოსწავლო ოლქის საშუალებით გამოიკვლიოს საშუალო-სატეხნიკო სასწავლებელში მომხდარ უწესოების მიზეზი.

◆ ოდესის ადმინისტრაციამ გაჰგზავნა ოდესის მაზრის სამხედრო უფროსთან 100 სათადარიგო ჯარის კაცი, რომლებიც მობილიზაციის დროს არ მოვიდნენ და, სანამ დაიჭერდნენ, ოდესაში სცხოვრობდნენ. ამათგან 20 კაცი გაანთავისუფლეს, რადგანაც დიდი ხანია სამსახური გაუთავებიათ; 10—სამხედრო საავადმყოფოში გაგზავნეს ჯანსაღობის გამოსაცდელად და დანარჩენი სარეზერვო პოლკებში დანიშნეს. („ჩერნ. ხოძ.“).

◆ ამ თვის დამლევს დასრულდება პეტერბურგში უძლურ ლიტერატორთა თავშესაფარის მოწყობა. ოფიციალურად თავშესაფარს 2 თებერვალს გახსნიან. ეს დღე სალიტერატურო ფონდის დაარსების დღეა.

წერილები

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). წარსულ ოქტომბრის პირველამდის დარიალას, ლარსს, ჯაირახსა და ბალთაში ფოსტის გამცილებლად და სახელმწიფო გზის დარაჯებად ყაზახი რუსები იყვნენ. ოქტომბრის პირველში კი ყაზახები შორეულ აღმოსავლეთში გაიწვიეს და მათ ნაცვლად მილიცია-ქისტები დააყენეს. ჯერ აქამდინაც თავისუფლად თარეშობდნენ ქისტები აქეთ მხარეს და ამას იქით, ვინ იცის, რა ჰქნან. მოსალოდნელია, რომ დარაჯ ქისტებთან მისვლა-მოსვლას იწყებენ მათი ნათესავ-ნაცნობები, გზებს შეისწავლიან და უარეს დღეს დაგვაყრიან.. ოცდაოთხ ოქტომბერს ლარსში ღამის თერთმეტი საათი იყო, რომ ერთმა დარაჯმა ქისტმა შენიშნა თერგის პირისკენ ძაღლის ყეფა. დარაჯმა თოფს ხელი წამოავლო და გასწია იქითკენ. ბნელოდა. დარაჯმა მაინც კარგად გაარჩია, რომ პეტროვის ბაკის კედელზე სამი კაცი იყო ატუზული. დარაჯი შეეხმაურათ. პასუხის მაგივრად იგრიალა ავაზაკების ორმა თოფმა. რასაკვირველია, დარაჯმაც ზედიზედ დაახალა სამჯერ ბერდანკა, თან ხმაურობაზე მოეშველნენ ამხანაგები, აგრეთვე ლარსში მცხოვრებნიც და ასტყდა თოფების გრიალი როგორც ავაზაკებისა, ისე დარაჯების და მცხოვრებლების მხრივ. ბნელ ღამეში ტყვიები შუშხუნასავით ანათებდა ორივე მხრივ. ეს ამბავი ამავე ღამეს აცნობეს მილიციის უფროს აფიცერს ბ-ნ ყუბადიევს, რომელიც მეორე დღეს ღამით ამოვიდა ჯაირახიდან. აღმოაჩინეს, რომ ავაზაკთაგან ერთი დაჭრილიყო და იქვე თერგს გაღმა სისხლით მორწყული იყო რიყე. ლარსის პირდაპირ გაღმა ერთ ძველ კოშში ავაზაკებს პერანგი დაეხიათ, დაჭრილი შეეხვიათ და გასდგომოდნენ გზას. აფიცერი ყუბადიევი დარაჯებით და მამასახლისის თანაშემწით გაჰყვნენ კვალს, მივიდნენ სოფ. ჯაირახში, დასჩხრიკეს სახლები, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს დაჭრილი. ხმები ამბობენ, დაჭრილი ავაზაკი გადაიცვალა და ქისტებმა მიმალესო.

სოფ. ციმში მცხოვრებს ხიბლიევს ოცი ცხვარი მოჰპარეს. ქურდებს ბოსლის კარები რომ ვერ გაეღოთ, ქვის კედლის ძირი გამოეთხარათ და ისე გამოერეკნათ ცხვრები. საზოგადოდ აქეთ ქურდობა გახშირებულია. **მართლის მთქმელი**

—

სოფ. სანება (ოსეთი). ქალის მოტაცების მიზეზით ხშირად ჩამოვარდება ხოლმე ოსებს შორის მოსისხლეობა. აი, ამ დღეებშიაც მოხდა ერთი ამბავი. სანებაში მცხოვრებმა ძიოვმა მოიტაცა სოფ. განალში მცხოვრების დოლაყოვის ქალი. რასაკვირველია, ვაჟის და ქალის მშობელ-ნათესავებმა ამოირჩიეს შუაკაცები მოსარიგებლად. შუა კაცებმა ქალის მომტაცებელს ძიოვს გადაუწყვიტეს ურვათის გადახდა: ას-ათი თუმანი (1100 მ.). ვახშამი გაიმართა. ვახშამზედ შუა-კაცებმა ორივე მხარეს გამოუცხადეს თავიანთი დადგენილი გადაწყვეტილება. წარმოიდგინეთ, ქალის ძმებმა შუა-კაცების გადაწყვეტილება ილოტავეს და აუტეხეს ჩხუბი სასიძოს. ქალის ერთმა ძმამ იძრო ხანჯალი და წაეტია სასიძო ძიოვს, მაგრამ ძიოვის მაგივრად გამშველებელს თავისივე მეზობელს ცომართოვს, წაატაკა ხანჯალი მუცელში და მოჰკლა. ამნაირად ქალის მოტაცების მიზეზით სამს გვარში: ძიოვის, დოლაყოვის და ცომართოვისა ჩამოვარდა სისხლი, რომელიც, უეჭველია, კიდევ იმსხვერპლებს ვისმე. სანებაში მცხოვრებს ძიგოევს ქურდ-ბაცაცებმა ღამე გაუტეხეს საკუჭნაო და გაიტაცეს ათ ფუთამდე ყველი, ორ ფუთამდე ერბო და სხვა. **ქართველი ოსებში.**

—

სოფ. გიზელი (ოსეთი). რა ნაირად და უნდა გაიმაგროს კაცმა ეზო და შეინახოს საქონელი, აღარ იცის. ვინც კი ცოტა შეძლებულია, ისიც კი სცდილობს და ქვითკირის გალავანს ავლებს თავის კარმიდამოს, რომ ქურდებისგან უშიშრად ვიყო და შევინახო საქონელიო. მაგრამ ავი ნუ მოგცეს, ქურდებს ვერც ქვითკირის გალავანი უძლებთ. აი ამ დღეებში გიზელში მცხოვრებს დოევს გაუტეხეს ქვითკირის გალავანი და გაიყვანეს ოთხი ცხენი, ოთხი ხარი და ორი ძროხა. ბევრი ძებნის შემდეგ გამოუჩნდა გულშემატკივარი დოევს და უთხრა: „ძლიერ ხათრი და პატივისცემა მაქვს შენი, მოვნახე შენი საქონელი, მივაგებ კვალსა, მხოლოდ საჭიროა ოცდა რვა თუმანი (280 მ.) ფულიო. აი, ასე გულ-კეთილად ექცევიან აქეთ ქურდები დაკარგულ საქონლის პატრონთ. **ქართველი.**

—

დაბა სალიანი. ადმინისტრაციამ დიდი ყურადღება მიაქცია სპარსეთიდან ზღვით მომავალ მგზავრებს და ყოველ ორთქლმავალს ზიხის საკარანტინოში ჰგზავნიდა გასასინჯად და სადეზინფექციოთ და თითქმის სრულიად დაივიწყა ხმელეთის გზა. ამასთანა უყურადღებობამ თავისი ნაყოფი გამოიღო: თითქმის მთელი მტკვრის პირი, ეგრედ წოდებული „ბანკის“ სათევზოდან სალიანამდის მოდებულია ხოლერით. უნდა მოვიხსენოთ, რომ ყოველ წელიწადს გიორგობისთვის დამდეგს ყველა მეთევზეებს მოსდით სპარსეთიდან დიდ-ძალი სპარსელი მუშა (ამშარი), რომელნიც განთქმულნი არიან სიბინძურით. მოვიდა თუ არა პირველი პარტია ამ ხალხისა, იმ დღესვე 600 კაცში 10 ავად გახდა, 4 გადაიცვალა. ეგრედ წოდებული „სევრუგის“ სათევზოზე ავად გახდა 7 კაცი, ამათში 3 გადაიცვალა და ოთხი ეხლაც ავად არის. დღეს გაემგზავრნენ იმ მხარეში მაზრის უფროსი და მაზრის ექიმი. თვითონ სათევზოების პატრონმა ააშენა ბარაკი, მიიწვია ექიმი და ყველა მუშას ადუღებულ წყალს ასმევს **კოლაბეგი.**

—

ლესიჭინე (სამეგრელო). წარსულ ზაფხულში ჩვენი მხარე დიდს გასაჭირში იყო შიმშილობის გამო. ივნისში ერთი ფუთი სიმინდი ნახევარ მანეთად იყო, მარიამობისთვის დამლევს კი 1 მან. 60 კ. ამ ფასშიაც ვერ ვშოულობდით. ეხლა ცხრა შაურადაა. სანოვაგის ფასი მაშინ იწევს, როცა მიმოსვლა, მოულოდნელის მიზეზის გამო შეწყდება; კლებულობს მაშინ, როცა მიმოსვლა ისევ განახლდება ან დიდი მოსავალია ჰპირნახულისა. ჩვენში ამ მიზეზებს არც ერთს ადგილი არა ჰქონდა. მოსავალიც შარშანდელზედ უფრო ნაკლებია. მაშ მომავალ წელსაც იმისთანა უბედურებაში რომ არ ჩავვარდეთ, ვფიქრობთ რამეს თუ არა? ჯერ-ჯერობით არა და უთუოდ აწიც არაფერს ვიფიქრებთ. განა სხვა რამეში გვეტყობა წინ დახედულობა? წინ დახედულობა მხოლოდ ორიოდე ჩარჩმა გამოიჩინა და ჯიბეც კარგად გაივსო. ვისაც მეტი აქვს, ამ ცოტა ხანში გაჰყიდის დაკლებულ ფასად სხვა და სხვა მოთხოვნილების გასასტუმრებლად; უმრავლესობას კი ისევ შარშანდელი ბედი ეწვევა. საუბედუროდ, არავითარი ერთობა და ერთმანეთის ხელის გაწყობა არ ვიცით. წრეულს. ხმას არ იღებდნენ, ჩრჩილმა სიმინდი გამიფუჭაო. არ იფიქროთ, ჩრჩილს ჩვენთან ყოფნა მოსწყინდა; არა, ის ისევ მძვინვარებს, მაგრამ სიმინდი არა გვქონდა და რას გაგვიფუჭებდა. ვისაც სიმინდი ჰქონდა, აი რა ჰქნა: დიდი ქვაბით წყალი ადუღა, ადუღებულ წყალში ჩაჰყარა, ათი-ხუთმეტი წამი გააჩერა და მერე მზეზე ააშრო. ჩრჩილი არ გამოდიოდა, მაგრამ ფქვილი ძალიან შავი იყო. შეიძლება ეს იმის მიზეზია, რომ სიმინდი მდუღარე წყალში მაისის დამლევს ჩაჰყარეს, როცა მატლი სიმინდის მარცვალში კაი მოზრდილი იქნებოდა. ვინც აგრონომის ტიმოფეევის დარიგებით უწამლა, კარგი იყო. საუბედუროდ, იმის დარიგებით ცოტა სარგებლობს. ლაპარაკობდნენ, ტიმოფეევის დარიგება ქართულად გადათარგმნეს და ზუგდიდშიაც გამოგზავნესო; მე პირადად ბევრი ვეძებე, მაგრამ კვალს ვერ მივაგენი. თუ მართლა ეს წიგნები ჩვენში გამოგზავნეს, ვისაც აბარია, არ ვიცი, რისთვის ინახავს. „ცნობის ფურცელ-“შიაც იყო მოკლე დარიგება დაბეჭდილი, მაგრამ გაზეთებს სოფელში იშვიათად ღებულობენ.

ზოგიერთმა ჩვენში ამერიკულ ვაზის გაშენებას მიჰყო ხელი. ვინც რიგიანად მოუარა, კარგადაც სხეირა. ახლა მსურველი ბევრია ამერიკულ ვაზის გაშენებისა, მაგრამ ვენახის გაშენების საქმეში მარტო სურვილი და მეცადინეობა არა კმარა, ამასთან გამოცდილი და მომზადებულიც უნდა იყო, ან საჭიროა ვინმე გამოცდილი კაცი მოვიწვიოთ. საუბედუროდ, ჩვენ არც გამოცდილება გვაქვს, არც იმდენი შეძლება, რომ ცალ-ცალკე გამოცდილი პირი მოვიწვიოთ. ერთად-კი, მოგეხსენებათ, ვერა საქმეს ვერ გავაკეთებთ. მე მგონია, ისა სჯობია პურის მოყვანას მივყოთ ხელი, ამას არც იმდენი ხარჯი და გამოცდილება უნდა, რამდენიც ვენახს. პურის მოსავალს ჩვენში ჰავაც და ნიადაგიც ხელს უწყობს. ეხლა პურის მოყვანას ჩვენში კაცი არ მისდევს, ყველანი—გლეხიც და აზნაურიც—სიმინდს შეჰჩერებივართ. მოხუცებმა გადმოგვცეს: ოცდა-ათ, ოცდა-ხუთმეტი წლის წინად პურს ბლომად ვთესავდით და კარგი მოსავალიც მოდიოდაო“—აბა რატომ გაანებეთ თავი მეთქი.—საკუთარი ადგილი ჩვენ არა გვქონდა, მებატონე ნადელს თხოულობდა და ეს ჩვენთვის სახეირო არ იყოო. **პეტრე დგებუაძე.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

12 ნოემბერი.

ტოკიო, 11 ნოემბერი. „ცენტრალ ნიუსის“ სიტყვით, გენერალი ნოგი იუწყება, რომ ცეცხლმა, რომელიც 9 ნოემბერს გაჩნდა რუსის თოფხანის მახლობლად, გასტანა 10 ნოემბრის დილის 10 საათამდე. ოფიციალურ მოხსენებით, 10 ნოემბერს, შუაღამისას 500 თუ 600 კაცისაგან შემდგარმა რუსთა რაზმმა იერიში მიიტანა სინლუანტუნში მყოფ იაპონელთა სადარაჯოებზე. იაპონელებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსებს და მერე მთავარ-ბანაკისკენ დაიწიეს. სოფელი სინლენტუნი

1893 „ „ 92 „ „ „ 100 „
1894 „ „ 95 „ „ „ 100 „
1895 „ „ 100 „ „ „ 100 „
1896 „ „ 100 „ „ „ 98 „
1897 „ „ 100 „ „ „ 100 „
1898 „ „ 100 „ „ „ 100 „
1899 „ „ 100 „ „ „ 100 „
1900 „ „ 100 „ „ „ 100 „
1901 „ „ 100 „ „ „ 100 „
1902 „ „ 100 „ „ „ 100 „

აქ ცოტათი წინ უსწრებენ კიდევ ქართველები სომხებს. სამაგიეროდ, ამ სასწავლებელთან შედარებით, ქუთაისის რეალური სასწავლებელი ძალიან ჩამორჩენილია ქართული ენის სწავლების მხრით. ეტყობა, ამ სკოლაში მყოფ ბავშვთა მშობლები ქართულ ენას მეტ ბარგად სთვლიან და სრულებით არ აქცევენ ყურადღებას, რომ მათმა შვილებმა ქართული ანა-ბანა ისწავლონ.

ამ სასწავლებელში დედა-ენას სწავლობდა:

1898 წ. ქართ. 86,9% და სომხთა 100%
1899 „ „ 75,2 „ „ „ 100 „
1900 „ „ 84,5 „ „ „ 100 „
1901 „ „ 97,9 „ „ „ 100 „
1902 „ „ 55,5 „ „ „ 100 „

1902 წელს ამ სკოლის დაბალ კლასებში იყო სულ 301 ქართველი მოსწავლე; ამათგან მხოლოდ 167 ანუ თითქმის ნახევარი სწავლობდა ქართულს, ხოლო სომეხი მოსწავლე იყო 22, რომელნიც ყველანი სწავლობდნენ სომხურს. ფრიად საგულისხმიეროა, რომ ქუთაისში, სადაც 27,309 ქართველი ცხოვრობს და მხოლოდ 1,366 სომეხი (იხ. Извѣстія Зак. статист. ком., т. I, № 3, გვ. 172), ესე იგი სადაც მცხოვრებთა დიდძალი უმრავლესობა ქართველობაა, სომეხი მშობლები თავის შვილებს დედა-ენის უსწავლელად არ სტოვებენ, ხოლო ქართველები კი მეტოდიურად ავიწყებინებენ და გადაგვარების გზაზე აყენებენ.

ასეთია მოკლედ ის ვითარება, რომელსაც გვიხატავს სტატისტიკა, დედა-ენის სწავლის მხრით, სავაჟო სასწავლებლებში მოსწავლე ქართველებისა და სომხების შესახებ. ეს სტატისტიკა ცხადად გვიჩვენებს, რომ ქართველი სომეხზე ბევრად ნაკლებ ყურადღებას აქცევს და ნაკლებ ჰპატივს სცემს თავის დედა-ენას.

ქალთა სასწავლებლების შესახებ სტატისტიკა ამავე აზრს კიდევ უფრო ნათლად და გარკვევით გვიმტკიცებს. ვურთავთ აქ შესაფერ ცხრილს და მკითხველს ვურჩევთ კარგად ჩაუკვირდეს. ეს ციფრები ზემოდ აღნიშნულებზე უფრო მეტყველი და მნიშვნელოვანია.

როგორც ვაჟებისა ისე ქალების გიმნაზიებშიაც ადგილობრივ ენებს მხოლოდ დაბალ კლასებში ასწავლიან. ამ დაბალ კლასების მოსწავლეთაგან თავის დედა ენას სწავლობდა (პროცენტობით):

წლები	ტფილ. 1-ლი გიმნაზ.		ტფილ. მე-2 გიმნაზ.		ტფილ. მე-3 გიმნაზ.		ტფ. წმ. ნინოს სასწავლ.		ქუთაისის წმ. ნინ. სასწავლ.		გორის პრო-გიმნაზ.		თელავის პრო-გიმნაზ.	
	ქართვ.	სომეხი	ქართვ.	სომეხი	ქართვ.	სომეხი	ქართვ.	სომეხი	ქართვ.	სომეხი	ქართვ.	სომეხი	ქართვ.	სომეხი
1889	—	53,8	—	—	—	—	81,5	93,5	100,0	—	100,0	100,0	—	—
1890	—	36,1	—	—	—	—	92,0	91,2	100,0	—	100,0	93,3	—	—
1891	—	40,0	—	—	—	—	100,0	91,1	100,0	—	100,0	80,0	—	—
1892	—	32,8	—	55,8	—	—	100,0	94,0	100,0	—	100,0	81,8	—	—
1893	—	32,1	—	91,8	—	—	100,0	83,3	100,0	—	100,0	96,0	—	—
1894	—	40,3	—	56,0	—	39,8	83,7	68,7	100,0	—	100,0	91,7	—	—
1895	—	31,8	—	45,1	—	51,3	72,6	50,0	100,0	—	100,0	90,5	—	—
1896	—	17,5	—	36,9	—	55,5	72,4	65,9	100,0	—	100,0	69,0	—	—
1897	—	23,6	—	34,1	—	70,7	99,0	100,0	100,0	—	100,0	66,7	—	—
1898	—	39,1	—	40,0	—	67,1	93,0	98,0	100,0	—	99,2	85,7	100,0	30,0
1899	39,9	34,5	55,9	44,2	—	66,7	98,9	96,0	100,0	—	98,5	91,7	100,0	18,19
1900	33,3	35,5	37,4	50,8	—	61,0	94,4	82,0	100,0	—	100,0	68,8	84,5	23,0
1901	25,9	26,3	23,0	46,7	—	57,0	91,2	87,0	100,0	—	100,0	74,0	100,0	16,0
1902	27,5	29,0	11,8	34,7	—	54,4	90,0	97,0	96,5	—	100,0	63,6	100,0	34,0

როგორც ვხედავთ, ტფილისის პირველსა და მეორე გიმნაზიაში 1889 წლამდის სრულიად არ ყოფილა ქართული ენა შემოღებული, მაშინ როდესაც სომხური ბევრად ადრე იყო დაწესებული. მესამე გიმნაზიაში დღესაც არაა ქართულის ჭაჭანება, ხოლო სომხურის სწავლება 1894 წლიდან სწარმოებს. ცხადად ჰხედავთ აგრეთვე, რომ გიმნაზიებში ქართულის მოსწავლეთა რიცხვი ბევრად ნაკლებია სომხურ ენის მოსწავლეთა რიცხვზე, გორში და თელავშიაც, სადაც ამ ათიოდე წლის წინად სომხობა თითქმის სულ გაქართველებული იყო და ერთად-ერთ ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, უკანასკნელ ხანებში ეროვნულად იღვიძებს და თავის შვილებისათვის სომხურის სწავლებას დიდ ყურადღებას აქცევს.

ასეა საქმე იმ სასწავლებლებში, რომლებიც საქართველოში არსებობენ, სადაც სომეხ ხალხის რიცხვი ქართველობასთან შედარებით ძალიან მცირეა. მიუხედავად ამ რიცხვითი სიმცირისა, სომხობა არ ივიწყებს თავის ეროვნებას და თავის ეროვნულ ცნობიერებით სჯაბნობს და უსწრებს კიდეც ქართველობას. იმ ქალაქებში, სადაც სომხის ხალხი რიცხვით უფრო მრავალია, მოსწავლე ახალგაზდობა, მშობლების გავლენისა და შეგნების წყალობით, კიდევ უფრო ეტანება თავის დედა-ენის სწავლას.

ჩვენ არ გვინდა, ეს წერილი ნამეტნავად ავაჭრელოთ ციფრებით და ამიტომ არ ვიწერთ იმ სტატისტიკურ ცნობებს, რომლებიც კავკასიის სხვა ქალაქებში არსებულ სასწავლებლებს შეეხებიან. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ ციფრებს, რომლებიც წარსული წლის „ანგარიშშია“ მოქცეული და ჩვენ ზემოდ მოყვანილ ცხრილებში არ გვაქვს შეტანილი.

წარსულ წელს ტფილისის სამივე ვაჟთა გიმნაზიის დაბალ კლასებში იყო სულ 369 ქართველი მოსწავლე. ამათგან ქართულს სწავლობდა 233 ანუ 63,1%, ე. ი. ერთ მესამედზე მეტს ყური უთქვამს და „არა სავალდებულო“ ქართული ენის სწავლა არ უსურვებია. ამავე დროს სომეხ მოწაფეთა რიცხვი იყო 602 და ამათგან სომხურს სწავლობდა 512 ანუ 85%, ე. ი. შედარებით ქართველებზე 22%-ით მეტი.

ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც თითქმის სულ ქართველები სწავლობენ და, გარდა ქართულისა, არც ერთ სხვა ადგილობრივ ენას არ ასწავლიან, 334 ქართველ მოწაფეთაგან მხოლოდ 185 ანუ 55,3% სწავლობდა ქართულ ენას. ამავე დროს სომხურს სწავლობდნენ: ელისავეტპოლის გიმნაზიაში 144-იდან 142 ანუ 98,6%, ერევნისაში ყველა 75 ანუ 100%, ბაქოსაში 386-დან 377 ანრ 97,7% და სხვა.

კავკასიის ყველა გიმნაზიების დაბალ კლასებში იყო სულ მოწაფე: ქართველი 703, ამათგან ქართულის მოსწავლე 418 ანუ 59,4%; სომეხი 1318, ამათგან სომხურის მოსწავლე 1135 ანუ 86,1%; თათარი 156, ამათგან თათრულის მოსწავლე 138 ანუ 88,4%.

ტფილის-ქუთაისის ორსავე რეალურ სასწავლებელში 411 ქართველ მოწაფეთაგან ქართულს სწავლობდა 394 ანუ 94,7%, ხოლო სომხებში კი სომხურს სწავლობდა 165-დან 162 ანუ 97,6%. კავკასიის ყველა რეალურ სასწავლებლებში დაბალ კლასების სომეხ-მოწაფეთა 99,3% სწავლობდა სომხურს და თათარ-მოწაფეთა 98,1% —თათრულს.

როგორც ჰხედავთ, ქართველები შედარებით ყველაზე უკან დგანან და სხვებზე უფრო არიან დედა-ენას დაშორებულნი არა თუ სომხებს, თათრებსაც კი ვერ უტოლდებიან ისინი თავისი პროცენტით.

ტფილისის ქალთა ყველა გიმნაზიებში 465 ქართველ ქალთაგან ქართულს სწავლობდა 112 ანუ 24,1%, ე. ი. ერთი-მეოთხედი, ხოლო სომხებში სომხურის მოსწავლენი 40%-ს შეადგენდნენ (1050-დან 416). საერთოდ კავკასიის ყველა გიმნაზიებსა და პრო-გიმნაზიებში 1393 ქართველ ქალთაგან ქართულის მოსწავლე იყო 973 ანუ 69,5%, მაშასადამე, ერთი მესამედი სრულიად არ სწავლობდა ქართულს. სრული გადაგვარება ემჩნევა იმ მშობლებს, რომელთა ქალები ტფილისის გიმნაზიებში სწავლობენ. ამ სასწავლებლებში განსაკუთრებით განირჩევა მეორე გიმნაზია, სადაც ქართველ მოწაფეთა ერთ-მეხუთედზე ნაკლები (19,5%) სწავლობდა ქართულ ენას.

ყველა ეს ძალიან მეტყველი ციფრებია, რომელნიც ფარდას ჰხდიან და ცხადად გვიჩვენებენ ჩვენს ხალხოსნურ სისუსტეს და განუვითარებლობას.

საყურადღებო და დიდად დამაფიქრებელი ვითარებაა. შემდეგ წერილში ჩვენ განვაგრძობთ ამ საკითხის გარკვევასა და რეალურ ცხოვრების მაგალითებით განმარტებას...

ფ. გოგიჩაიშვილი.

(დასასრული იქნება)

სრულიად გაანადგურეს რუსის ყუმბარებმა. 10 ნოემბერს გათენებისას რუსებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა სადარაჯოებზე რკინის გზის ხიდთან შახეზე, პაოძიონთან. იერიში მიიტანეს აგრეთვე სხვაგანაც შახეს დასავლეთით; მაგრამ ამ იერიშებმა უნაყოფოდ ჩაიარეს.

ლონდონი, 12 ნოემბერი. „ტაიმს“-ს ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ, რომ რუსები მთელ სურსათს და აგრეთვე ტანისამოსს ადგილობრივ იძენენ, რის გამო რკინის გზა მხოლოდ ჯარის გადაყვანას უნდებათ.

პარიზი, 11 ნოემბერი. ერთმა აქაურმა გაზეთმა გამართა ხელის მოწერა გენერალ სტესელისთვის საპატიო ხმლის მისართმევად.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

12 ნოემბერი

ხუანშანი, 11 ნოემბერი (საკუთ. კორ.). 8 ნოემბერს იაპონელებმა იერიში მოიტანეს, მაგრამ დიდის ზარალით უკუვაქციეთ. ჩვენ დავკარგეთ: დაჭრილია ხორუნჟი ლაპშაკოვი; მოკლულია 10 და დაჭრილია 30 ჯარის კაცი. გუშინდელმა დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

პარიზი („ჰავასი“). სამედიატორო სამართლის მომხრე საფრანგეთის პარლამენტის ჯგუფმა მოიწვიეს და მოვიდნენ პარიზში 70-მდე შვეციისა, დანიისა და ნორვეგიის პარლამენტების წევრები. ვოგზალზე მიეგება საფრანგეთის ჯგუფის წარმომადგენელი. ამათ მოსვლის საგანია—სამედიატორო სამართლის შესახებ აზრი უფრო განამტკიცონ.

ტოკიო, 11 ნოემბერი („რეიტერი“). პორტ-არტურში ცეცხლი 9 ნოემბერს შუადღისას გაჩნდა და 14 საათი გაგრძელდა. იაპონელთა უმთავრესის შტაბის ოფიციალური დეპეშა პორტ-არტურის მიდამოებიდან ამტკიცებს ამ ამბავს და უმატებს, რომ ცეცხლი არსენალის ახლოს ამოვარდაო. ამის მიზეზად ზღვიდან გამოსროლილი ყუმბარა იყოო.

მუკდენი, 10 ნოემბერი. („რეიტერი“) მზვერავ რაზმებთან რამდენიმე შეტაკება მოხდა. რუსებმა 11 კაცი დაატყვევეს. პუტილოვის გორაკზე იერიშის მიტანის დროს ხელ-ჩართული ბრძოლა იყო; იაპონელები შტიკებით მოიგერიეს. თოფით სროლა მხოლოდ ექვსი წუთი გაგრძელდა, მაგრამ მეტად ძლიერი იყო. შესანიშნავი ის არის, რომ მკვდარ იაპონელების ხელში ყველა თოფი ტყვიით დამსხვრეული აღმოჩნდა. რუსებმა 30 კაცი დაჰკარგეს.

— 11 ნოემბერი („რეიტერი“). უკანასკნელ ორ დღეს სროლა არ ისმის.

სკაგენი, 11 ნოემბერი. რუსის კრეისერები „ოლეგ“ და „იზუმრუდ“, ერთიც დამხმარე კრეისერი და ერთი კონტრ-ნაღმიანი გემი გავიდნენ საღამოს 7 საათს.

პორტ-საიდი, 11 ნოემბერი („რეიტერი“). საფრანგეთის გემი „ფიორენტინა“, ინგლისის—„კატარინა“ და „ემერალდ“-ი გავიდნენ,—როგორც ამბობენ, რუსეთის მონდობილობით,—სუეცის არხის დასათვალიერებლად, სანამ ესკადრა გავიდოდეს.—საადმირალო გემზე საღამოს ნადიმი გაიმართა. ბევრი რუსის აფიცერი ნაპირზე გავიდა საერო ტანისამოსში და იქ ისადილეს. ცხადია, იაპონელების მხრით არავითარი შიში აღარაა.

კარდიფი („რეიტერი“). ბირჟაზე ლაპარაკობენ, იაპონელებმა 100 ათასი ტონა ნახშირი იყიდეს იმ პირობით, რომ იანვარსა, თებერვალსა და მარტში ჩაიბარონ. ირწმუნებიან, რუსებმაც 300 ათასი ტონა ნახშირი იყიდეს, რომელიც 1905 წლის დასაწყისს უნდა გაიგზავნოს რუსეთშიო.

ლონდონი. მესამე არმიასთან მყოფი „რეიტერის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ 10 ნოემბერს იაპონელებს არ დაუჭერიათ გარდა იმ ორის სიმაგრისა ნანლუნშანზე, რომელიც აგვისტოში აიღეს. იმათ უჭირავთ ერლუნშანის წინა სიმაგრე, რომელსაც კუროპატკინის რედუტს ეძახიან, და რამდენიმეც სხვა მოწინავე სიმაგრე.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა: 1) 10 ნოემბრიდან: „9 ნოემბერს ღამით ჩვენი მზვერავები გავიდნენ და 11 იაპონელი დაიჭირეს.“—2) 11 ნოემბრიდან: „10 ნოემბერს ღამით შეტაკების შესახებ მოხსენება არ მიმიღია.“

— გენერალ-ლეიტენანტის სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბის სახელობაზე 12 ნოემბრიდან: „11 ნოემბერს ღამით შეტაკების შესახებ ამბები არ მიგვიღია.“

11 ნოემბერი

პალერმო, 10 ნოემბერი. მოვიდა აქ დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე.

ლონდონი, 11 ნოემბერი. ინდოეთის ვიცე-მეფე ლორდი კერზონი ინდოეთს წავიდა.

რომი, 11 ნოემბერი. ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ, რომელიც იტალიისა და შვეიცარიის შორის დაიდო.

სენ-ლუი, 11 ნოემბერი. იაპონიის პრინცს ფუშიმას, რომელიც აქ არის გამოფენის დასათვალიერებლად, სასტუმროში მოჰპარეს ძვირფასი ნივთები 5,000 დოლარისა.

სტამბოლი, 11 ნოემბერი. პორტამ გადასწყვიტა, ნება არ მისცეს გახიზნულთა ერთი ნაწილი ძველ საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდეს. იგი უკმაყოფილოა დეკლარაციისა სერბიის შეთანხმების შესახებ, აგრეთვე ამ ამბით, რომ ბოლგარიამ საველე არტილერიის 81 ბატარეა შეუკვეთა.—მთავრობა შავი ზღვის ესკადრის გამოსვლას მუქარად ჩასთვლის.

11 ნოემბერი

პეტერბურგი. გენერალ-ლეიტენანტი ოდინცოვი ყუბანის ოლქის უფროსად და ყუბანის ყაზახთა ნაკაზნოი ატამანად დაინიშნა.

იაროსლავი, 11 ნოემბერი. როსტოვიდან სახალხო განათლების მინისტრი მოვიდა და პირდაპირ დემიდოვის ლიცეუმში წავიდა.

ათინა. შავ ზღვაზე საბერძნეთის გემი „ელპის“-ი დაიღუპა; გემზე 60 კაცი იყო. ბევრი ეცადნენ, მაგრამ აქამომდე ვერსად უნახავთ.

ბელგრადი. ოსმალოს ჯარმა დერიმთან ბერძენთა რაზმები გაჰფანტა. მინისტრთა კრიზისს მოელიან. ჯერ არ იციან, საზოგადოდ ყველა მინისტრები გადადგებიან, თუ კერძოდ ვინმე მათგანი. იმედი აქვთ, შეეცდებიან, სამინისტრო არ დაირღვეს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 9 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	47,30
პარიზისაზე „	37,52$\frac{1}{2}$
ბირჟის დისკონტი	6-7$\frac{1}{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4$\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89$\frac{3}{8}$
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	419$\frac{3}{4}$
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	310
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	271
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4$\frac{1}{2}$% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	90$\frac{3}{4}$
4$\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87$\frac{3}{8}$
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	240 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამზაბითობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევს 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევს 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევს 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევს 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევს 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევს 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევს 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვ[illegible]როვიდის ქ., № 131.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 1[illegible]
ღია არის დილით 1 —2 საათ.
„ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, [illegible]ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგ. ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტე[illegible]ოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ა. ყაზბეგის თხზულება არ გაეგზავნათ იმათ, ვისაც წლიური ფული მარტო გაზ. „ცნობის ფურცლის“ 6 მ. 55 კ. და „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ 11 მ. 55 კ. არა ჰქონდათ შემოტანილი. ფულის შემოტანისთანავე პრემია გაეგზავნებათ.

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

№
CAPTOL
„კაპტოლი“
საუკეთესო წყალი
თმებისათვის

კარგია თავის კანის გასაწმენდათ, გასაგრილებლად და ნერვების გასაცოცხლებლად. განსაკუთრებით კარგია თავის კანის ქერტლისა და იმისაგან წარმომდგარ უსუფთაობის წინააღმდეგ. თმას ამაგრებს და დაცვივნას უშლის; მომზადებულია ელბერფელდელ ექიმის ი. ეიხჰოფის სისტემით.

„**კაპტოლი**“ არ არის საიდუმლო წამალი.

ერთად ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულჰენსი
კელნი და რიგა.
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვადა-სხვა მასალის დამმზადებელი.

(6—მც.—3)

კბილის პასტა

ვისბადენის წყაროს მარილისაგან

№ 4711

ეს ბუნებრივი საშუალებაა კბილების საწმენდად, რომელიც ექიმებმა საუკეთესოდ სცნეს. ეს საშუალება შეიცავს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა კბილებისა და პირის მოსავლელად. იგი ახალი გამოგონებაა თანამედროვე მეცნიერებისა და კბილის საშუალებათა შორის ამისთანა სხვა არ მოიპოვება.

ერთად-ერთი ფაბრიკანტი
ფერდ. მიულჰენსი
კელნი და რიგა.

მოიპოვება ყველა აფთიაქსა, საპირფარეშო და სააფთიაქო მაღაზიებში.

(6—მც.—1)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმაწვილთათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასა.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—შ.22) ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბათუმი,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—183)

გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000) ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით და გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;

2) სრულს ხელშეუხებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;

3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.

4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;

5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.

6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;

7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;

8) პრემიების სიიაფეს;

9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;

10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;

11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ქნება დამზღვევს შეტანილი პრემია;

12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;

13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;

14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის გადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილის'ია, გოლოვინის პრ., ოქროევის სახლი, ტელეფონი № 429.

აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—45)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი **ორი** თავით, [illegible] არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. [illegible]ლებით და [illegible] ყავით 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ვძლევთ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—69)

Сѣдельн,
Специяльн.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი [illegible]ვისა, № 92, საზაფხულო სახლის ახლოს. (წ.—75—8)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული **წიგნები:**

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	10
ბნელეთ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
ოქროს კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	[illegible]
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	60
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	[illegible]
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	[illegible]
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	[illegible]
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

№ 4711
სადებავი
თმებისა
კაკლის ექსტრაქტისაგან.

ეს სადებავი მშვენიერია. სულ ცოტა ხანში იმ ფერს აძლევს თმას, თუნდა ქაღარა და წითელიც იყოს, რა ფერიც სასურველია, ღია ფერიდან დაწყებული შავამდე. რაც უფრო ხშირად იხმარება ეს სადებავი, მით უფრო მუქი ხდება თმა. № 4711—ამ სადებავს, კაკლის ექსტრატისაგან დამზადებულს, შეიძლება უპირატესობა მიეცეს ყველა სხვა სადებავთან (თმის) შედარებით, რადგან იგი არავითარ მავნე ნივთიერებას არ შეიცავს.

ფერები:
შავი, ნარინჯი, წაბლის ფერი და ღია ფერი.
პატარა შუშა ღირს 1 მან. 20 კაპ.
დიდი „ 2 „ — „

იყიდება ყველა საუკეთესო მაღაზიაში
ფერდ. მიულჰენსი,
რეინის კელნში განყოფილება რიგაში.
მისის **იმპერატორობითი უდიდებულესობის** კარის ვაჭარი.

(6—მც.—1)

ექიმის შაინდლერ-ბარნაის
„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება
თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი
✦ **კოლოფები წითელ ფერის** ✦
დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—12)

Дозволено цензурою, 12 ноября 1904 г.
სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—სა“
Электроп. „Груз. Изд. Т—ва“